

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების საერთო პირობების დანართში N8 - მობილ ბანკი - შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დაემატოს **6.7 პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 - 6.7. შეასრულოს **P2P გადარიცხვის ოპერაცია**, კერძოდ:
 - 6.7.1. **ბანკის ბარათის ანგარიშიდან**, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებულ ბარათის საბარათე ანგარიშზე, ეროვნულ ვალუტაში გადარიცხოს თანხა;
 - 6.7.2. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებული ბარათის საბარათე ანგარიშიდან **ბანკის ბარათის ანგარიშზე** ეროვნულ ვალუტაში ჩარიცხოს თანხა.”
2. დაემატოს **6.8 პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 - 6.8. **P2P გადარიცხვის ოპერაციის** შესრულებისთვის დაიმახსოვროს/შეინახოს **ბარათი (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი).**”
3. დაემატოს **13.27 პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“13.27 **P2P გადარიცხვის ოპერაციის** ფარგლებში **ბანკის ბარათის ანგარიშიდან**, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებულ ბარათის საბარათე ანგარიშზე, ეროვნულ ვალუტაში თანხის გადარიცხვა.”
4. დაემატოს **18 პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“18. **კლიენტი** ვალდებულია, **P2P გადარიცხვის ოპერაციის** შესრულებისთვის, წინამდებარე **დანართით** დადგენილ პირობებთან ერთად განუხრელად დაიცვას დოკუმენტ “ **P2P გადარიცხვის ოპერაციით** მომსახურების პირობებით” დადგენილი პირობები, რომელიც განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge.

მოცემული პუნქტის ამოღებიდან გამომდინარე, არსებული პუნქტების/ქვეპუნქტების ნუმერაცია შეიცვალოს ამოღებული პუნქტის თანმიმდევრობის შესაბამისად.